

ქვემო ქართლსა და კახეთს „ბანკი კონსტანტას“ კიდევ ორი ახალი სერვის-ცენტრი შეემატა

პრესრელიზი

6 და 7 სექტემბერს, „ბანკმა კონსტანტამ“ მარტყოფსა (ქვემო ქართლი, გარდაბნის რაიონი) და კაბალში (კახეთი) ახალი სერვის-ცენტრების პრეზენტაცია გამართა. დამატებითი სერვის-ცენტრების გახსნა რეგიონებში „ბანკი კონსტანტას“ მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პროდუქტებზე მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა.

ხსენებული სერვის-ცენტრები „ბანკი კონსტანტას“ მიერ შექმნილი ახალი კონცეფციის მიხედვითაა გაკეთებული. კონცეფცია შემუშავებულია მომხმარებლისთვის მყუდრო და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად და ითვალისწინებს განახლებულ დიზაინსა და მომსახურების მაქსიმალურ კომფორტიზაციას.

„ბანკი კონსტანტას“ სერვის-ცენტრები უახლოესი ფილიალის დაქვემდებარებაში მყოფი მომსახურების პუნქტებია და ძირითადად, სოფლის მაცხოვრებელთათვის საბანკო მომსახურების მარტივად მიღების მიზანს ემსახურება. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებით სარგებლობა უკვე სოფლიდან გაუსვლელად შეეძლება.

„ფილიალების ქსელის განვითარება შეუქცევადი პროცესია. მიმდინარე წლის ბოლომდე, საქართველოს მასშტაბით, კიდევ რამდენიმე ახალი ფილიალის გახსნა და არსებულითა განახლება გვაქვს დაგეგმილი. აღნიშნული პროცესი მხოლოდ ფილიალების რაოდენობის ზრდას არ გულისხმობს: შემუშავდა კონცეპტუალურად სრულიად ახალი – იდენტური ნიშნის მატარებელი ფილიალების სტრუქტურა, სადაც ჩვენი კლიენტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი კომფორტისა და უმაღლესი ხარისხის ფინანსური მომსახურების მისაღებად. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ფილიალი თბილისის მოსახლეობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საკუთარი ბიზნესის განვითარებაში“ – განაცხადა „ბანკი კონსტანტას“ გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა **ლევან ლებანიძემ**.

###

საკონტაქტო პირი:

ქეთო გიორგობიანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

+995 32 2 401 401; +995 599 226579

ketevan.giorgobiani@constanta.ge

„ბანკი კონსტანტა“ საქართველოს კომერციულ ბანკთა რიცხვს 2008 წლის ივლისში შეუერთდა და ამით, პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გახდა, რომელიც ბანკად გარდაიქმნა. კომპანია 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებული 41 ფილიალისა და სერვის-ცენტრის საშუალებით სრულ საბანკო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ბანკის საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა 2010-2011 წლებში, მას შემდეგ რაც ბანკს ახალი აქციონერები შეემატა – საერთაშორისო ინვესტორი, „ოიკოკრედიტი“ (11%) და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკი, „თიბისი ბანკი“ (83%). დღეისათვის „ბანკი კონსტანტა“ 37 000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 140 მილიონ ლარს აჭარბებს. „ბანკ კონსტანტა“-ს შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bankconstanta.ge